№2511 2014 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ფიზიკურ პირ თემურ თაბაგარისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული, ამ განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონება პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 525 000 (ხუთას ოცდახუთი ათასი) ლარად, საკუთრებაში გადაეცეს ფიზიკურ პირ თემურ თაბაგარს (პ/ნ: 35001015193).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;

ბ) შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ უძრავ ქონებაზე პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით ტურისტული კომპლექსის შექმნა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) არანაკლებ 200 (ორასი) ნომრიანი სასტუმროს, 8 (რვა)

ერთეული კოტეჯისა და სამედიცინო მომსახურების ობიექტის მშენებლობას, ექსპლუატაციაში მიღებასა და ფუნქციონირების დაწყებას;

გ) შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით, ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ქონებაზე ან/და მის ნაწილზე არანაკლებ 10 000 (ათი ათასი) ერთეული ორი ან მეტი წლოვანების მქონე წიწვოვანი ხის გაშენება, ტერიტორიის გამწვანების მიზნით;

დ) ამ პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით ნაკისრი საპრივატიზებო პირობების შესრულების მიზნით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით არანაკლებ 30 000 000 (ოცდაათი მილიონი) აშშ ამერიკული დოლარის ეკვივალენტი ლარის ინვესტიციის განხორციელება;

ე) აღნიშნული ტურისტული კომპლექსის ფუნქციონირების დაწყებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში არანაკლებ 130 (ას ოცდაათი) ადამიანის დასაქმება არანაკლებ 2 (ორი) წლის ვადით.

3. ფიზიკური პირი თემურ თაბაგარი ვალდებულია, ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ა“-დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების (მათ შორის შესაბამისი ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის) შესრულების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე, წარადგინოს ამ განკარგულების მე-2 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინვესტიციის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადაც ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 4 (ოთხი) თვით.

4. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით,

უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**